

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება N 364

2008 წლის 16 აპრილი

ქ. თბილისი

ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 14 აპრილის ბრძანება №235-სსმIII, №48, 21.04.2009წ., მუხ.543

საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N39 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის „ც“ ქვეპუნქტის საფუძველზე და მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმა - ორგანიზაციის ბალანსი (ფორმა №1) და ბალანსის დანართი ფორმები თანდართული რედაქციით:

ა) ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით – ბალანსის დანართი ფორმა №2;

ბ) ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ – ბალანსის დანართი ფორმა №2-1;

გ) ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ – ბალანსის დანართი ფორმა №2-2;

დ) ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ – ბალანსის დანართი ფორმა №3

ე) ანგარიში სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ – ბალანსის დანართი ფორმა №4;

ვ) ანგარიში ფულადი გრანტების შესახებ – ბალანსის დანართი ფორმა №4-1;

ზ) ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ – ბალანსის დანართი ფორმა №5;

თ) ორგანიზაციის ანგარიში ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებების შესახებ – ბალანსის დანართი ფორმა №5-1;

ი) ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ – ბალანსის დანართი ფორმა №6.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 14 აპრილის ბრძანება №235-სსმIII, №48, 21.04.2009წ., მუხ.543

1¹. ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული ფორმებით ბუღალტრული ანგარიშგება აწარმოონ სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფმა ორგანიზაციებმა და ამავე ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 14 აპრილის ბრძანება №235-სსმIII, №48, 21.04.2009წ., მუხ.543

2. სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფმა მხარჯავმა დაწესებულებებმა ნაერთი ბუღალტრული ანგარიშგება წარუდგინონ საქართველოს ფინანსთა მინისტრის სახაზინო სამსახურს დადგენილ ვადებში:

ა. 1 აპრილის, 1 ივლისის და 1 ოქტომბრის მდგომარეობით, საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან, მეორე თვის 10 რიცხვამდე;

ბ. წლიური ბუღალტრული ანგარიშგება – არაუგვიანეს საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 მარტამდე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 14 აპრილის ბრძანება №235-სსმIII, №48, 21.04.2009წ., მუხ.543

2¹. სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფმა ორგანიზაციებმა პერიოდული და წლიური ანგარიშგებები წარუდგინონ თავიანთ ზემდგომ ორგანოებს, საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა – სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ შესაბამის ორგანოებს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 14 აპრილის ბრძანება №235-სსმIII, №48, 21.04.2009წ., მუხ.543

3. ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფმა მხარჯავმა დაწესებულებებმა პერიოდული და წლიური ანგარიშგებები წარუდგინონ – ადგილობრივ საფინანსო ორგანოებს, მათ მიერ დადგენილ ვადებში.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 14 აპრილის ბრძანება №235-სსმIII, №48, 21.04.2009წ., მუხ.543

3¹. ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფმა ორგანიზაციებმა პერიოდული და წლიური ანგარიშგებები წარუდგინონ თავიანთ ზემდგომ ორგანოებს, ხოლო ამავე ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა – სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ შესაბამის ორგანოებს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 14 აპრილის ბრძანება №235-სსმIII, №48, 21.04.2009წ., მუხ.543

4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ნ. გილაური

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 14 აპრილის ბრძანება №235-სსმIII, №48, 21.04.2009წ., მუხ.543

2. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 აპრილის ბრძანება №330-სსმIII, №49, 28.04.2010წ., მუხ.728

3. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 3 აპრილის ბრძანება №105 - ვებგვერდი, 05.04.2012წ.

4. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 19 ნოემბრის ბრძანება №486 - ვებგვერდი, 22.11.2012წ.

ფორმა N 1

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 14 აპრილის ბრძანება №235-სსმIII, №48, 21.04.2009წ., მუხ.543

[ახალი რედაქციით იხ: ექსელის ფაილი] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 აპრილის ბრძანება №330-სსმIII, №49, 28.04.2010წ., მუხ.728

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 3 აპრილის ბრძანება №105 - ვებგვერდი, 05.04.2012წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 3 აპრილის ბრძანება №105 - ვებგვერდი, 05.04.2012წ.

ბალანსის დანართი ფორმა №5-1

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 14 აპრილის ბრძანება №235-სსმIII, №48, 21.04.2009წ., მუხ.543

[ახალი რედაქციით იხ: ექსელის ფაილი] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 აპრილის ბრძანება №330-სსმIII, №49, 28.04.2010წ., მუხ.728

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 3 აპრილის ბრძანება №105 - ვებგვერდი, 05.04.2012წ.

ბალანსის დანართი ფორმა №6

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 14 აპრილის ბრძანება №235-სსმIII, №48, 21.04.2009წ., მუხ.543

[ახალი რედაქციით იხ: ექსელის ფაილი] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 აპრილის ბრძანება №330-სსმIII, №49, 28.04.2010წ., მუხ.728

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 3 აპრილის ბრძანება №105 - ვებგვერდი, 05.04.2012წ.